

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

.. აგვისტო, 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქალაქ ბათუმში, ზუბალაშვილის ქ.N18-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე
იური უნგიაძისა და ლამარა ჩუბინიძის მემორიალური დაფების
განთავსების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის და „მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი ბათუმის საკრებულოს 2007 წლის 26 აპრილის №5-7 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ ბათუმში, ზუბალაშვილის ქ.N18-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე განთავსდეს იური უნგიაძისა და ლამარა ჩუბინიძის მემორიალური დაფები.
2. მემორიალური დაფები განთავსდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურთან შეთანხმებული პროექტის (ესკიზის) მიხედვით.
3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ განკარგულების შესრულების მიზნით განახორციელოს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმში, ზუბალაშვლის ქ.N18-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე იური უნგიაძისა და ლამარა ჩუბინიძის მემორიალური დაფების განთავსების შესახებ

ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

იური უნგიაძე - გამოჩენილი სახელწიფო, სამეურნეო და საზოგადო მოღვაწე, 1977-1986 წლებში აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; 1986 წლიდან 20 წლის მანძილზე სქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის აჭარის სამმართველოს უფროსი; სამსახურეობრივი და მოქალაქეობრივი მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებისა და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, მინიჭებული ჰქონდა „საპატიო ბათუმელის“ წოდება. იური უნგიაძე მიეკუთვნებოდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აჭარაში მოღვაწე იმ ღირსეულ მამულიშვილთა თაობას, რომლებმაც თავიანთი რთული, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრება და საქმიანობა მიუძღვნეს ქვეყნისა და ხალხის, განსაკუთრებით მშობლიური მხარის - აჭარის განვითარება-აღორძინებას.

ლამარა ჩუბინიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი (იური უნგიაძის მეუღლე).

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმში, ზუბალაშვლის ქ.N18-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე იური უნგიაძისა და ლამარა ჩუბინიძის მემორიალური დაფების განთავსება

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილ პროექტს კონკრეტული ფინანსური შედეგი გააჩნია.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მთლიანად შეესაბამება უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ე) პროექტის ავტორი:

საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია

ვ) პროექტის ინიციატორი:

„აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივმიგებისა და მადლიერების საზოგადოება“ (თავმჯდომარე - სერგო დუმბაძე) და დავით მამულაძის სახელობის საზოგადოება „მომამგე“ (თავმჯდომარე - ვლადიმერ მამულაძე).

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

საკრებულოს განათლების, კულტურის,
ტურიზმისა და სპორტის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე:

ირაკლი პატარიძე